



ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური

**ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის  
მიმართულებები 2020 წლისთვის**

## დოკუმენტის შესახებ

აუდიტორული ფირმების, აუდიტორების და სხვა დაინტერესებული პირების საყურადღებოდ, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოქვეყნდეს ინფორმაცია 2020 წლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის (შემდგომ - მონიტორინგი) დაგეგმილი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტში, გარდა დაგეგმილი მიმართულებებისა, ასევე ასახულია: მონიტორინგის სახეები, ვადები, მონიტორინგის დაწყების ინდიკატორები და მონიტორინგის პროცესის აღწერა.

სამსახურს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია დაინტერესებულ პირთა მიერ გაანალიზდეს სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშებთან ერთად.

# მონიტორინგის სახეები და 2020 წლისთვის მონიტორინგის განხორციელების მიმართულებები

აუდიტორული ფირმების/აუდიტორების მიერ განხორციელებული აუდიტის ხარისხის კუთხით არსებული მდგომარეობის გამოსავლენად სამსახური ატარებს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს, სრულად ან თემატურად.

## ხარისხის კონტროლის სისტემის სრული მონიტორინგი:


- **სავალდებულო მონიტორინგი** - 2020 წლის განმავლობაში სამსახური განაგრძობს ხარისხის კონტროლის სისტემის სავალდებულო სრული მონიტორინგის განხორციელებას (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1);
- **რისკზე დაფუძნებული მონიტორინგი** - იმ შემთხვევაში, თუ სამსახურის მიერ გამოვლინდება ისეთი გარემოება, რომელიც წარმოშობს რისკს, რომ აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მიერ განხორციელებული სამუშაოს ხარისხი შესაძლოა აღარ შეესაბამებოდეს მის მოქმედ შეფასების კატეგორიას ან იდენტიფიცირდა ისეთი რისკები, რაც საჭიროებს აუდიტორული ფირმის/აუდიტორის სრული მონიტორინგის ჩატარებას, სამსახური იწყებს რისკზე დაფუძნებულ სრულ მონიტორინგს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1).

აღსანიშნავია, რომ გარიგების შესრულების ნაწილში მონიტორინგს ექვემდებარება როგორც აუდიტის გარიგებები, ისე მიმოხილვის გარიგებები, სხვა მარწმუნებელი გარიგებები და დაკავშირებული მომსახურების გარიგებები. შესაბამისად, 2020 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შესაძლოა მოექცეს ნებისმიერი ზემოაღნიშნული გარიგება.

## ხარისხის კონტროლის სისტემის თემატური მონიტორინგი:



2020 წლის განმავლობაში თემატური მონიტორინგი შესაძლოა შეეხოს ხარისხის კონტროლის სისტემის იმ ცალკეულ ელემენტებს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რაც სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მატარებლად (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2).

მონიტორინგის განხორციელების ვადები/დრო | 306 ექვემდებარება / რისკის ინდიკატორები | მონიტორინგის პროცესი



\* სამსახურის მიერ მონიტორინგის დაწყებისთანავე, მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა აუდიტორულ ფირმას/აუდიტორს ეგზავნება წერილობითი მოთხოვნა, განხორციელებული/მიმდინარე გარიგებების სრული სიის წარმოდგენასთან და სავალდებულო შეხვედრებთან დაკავშირებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია და დაესწროს სამსახურის მიერ მოთხოვნილ შეხვედრებს, სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში (კერძოდ, თუ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი ან არასრული ფორმით იქნება წარმოდგენილი სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ან სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში არ მოხდება სავალდებულო შეხვედრებზე დასწრება) სამსახური ვალდებული იქნება, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული სანქცია - ფულადი ჯარიმა ან/და რეესტრიდან ამოღება.

წინამდებარე დოკუმენტი არის საინფორმაციო ხასიათის და არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები.



წინამდებარე დოკუმენტი არის საინფორმაციო ხასიათის და არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს. დოკუმენტსა და კანონმდებლობას შორის სხვაობის შემთხვევაში, გამოიყენება კანონმდებლობის ნორმები.